აკადემიური ხარისხების, უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ცნობისა და 5 ქულიანი სისტემის კრედიტებად გადაანგარიშების წესი

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების მიერ გაცემულ აკადემიურ ხარისხებს. საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარება რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტით.
2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების აღიარება ეფუძნება მათ შესაბამისობას ჭავჭავაძის უნივერსიტეტის კურიკულუმთან.
3. ამა თუ იმ კურსის ეკვივალენტი კურსის არსებობას უნივერსიტეტი ადგენს სტუდენტის მიერ გავლილი კურსის სილაბუსის ანალიზის საფუძველზე. თუ გავლილი კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება ჭავჭავაძის უნივერსიტეტის კურიკულუმში არსებული კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ხდება მისი აღიარება.
4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება ჭავჭავაძის უნივერსიტეტის შესაბამისი კურსის კრედიტების რაოდენობას, ასეთ შემთხვევაში ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს ჭავჭავაძის უნივერსიტეტის კურიკულუმი (მაგ., თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსი 7 კრედიტიანია, ხოლო ჭავჭავაძის უნივერსიტეტში შესაბამისი კურსი - 5 კრედიტიანი, სტუდენტს აუღიარდება 5 კრედიტი).
5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის შესაბამისი კურსის კრედიტებზე, გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ მიიღება სილაბუსების ანალიზის საფუძველზე.
6. თუ გავლილი კურსი არ არის კრედიტებით გაანგარიშებული, ამ კურსის კრედიტების გამოანგარიშება ხდება შესაბამისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე.
7. ერთი და იმავე კურსის არაერთჯერადი შეფასების არსებობის შემთხვევაში, გავლილ კურსს ენიჭება კრედიტების ჯამური რაოდენობა, ხოლო მისი შეფასებისას - შეფასებების საშუალო არითმეტიკული (მაგ. თუ ერთ კურსს სტუდენტი სწავლობდა სამი სემესტრის მანძილზე, თითოეულ სემესტრში მიღებული კრედიტების რაოდენობა ჯამდება, ხოლო კურსის საბოლოო შეფასებისთვის გამოითვლება სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკული).
8. 5 ქულიანი შეფასების შემთხვევაში, შეფასების გადაყვანა ხდება 100 ქულიან სისტემაზე მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით (მაგ., 5 = 100; 4 = 90 და ა.შ.). იგივე წესი მოქმედებს ე. წ. დიფერენცირებული ჩათვლის შემთხვევაში. არადიფერენცირებული ჩათვლის აღიარება ხდება, ასევე, მაქსიმალური ქულის მინიჭებით (ჩათვლა = 100).